განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასები თარიღი: 10 იანვარი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24 თებერვალი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204577582
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა (მერვე დონე)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ფსიქოლოგიის დოქტორი 0313
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ბურდული საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა გაბაშვილი საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირაკლი ნოდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  - ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის დოქტორი.
  - ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს (1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს), რომელიც სტუდენტმა ექვსი სემესტრის განმავლობაში უნდა დააგროვოს და ეტაპობრივად დალაგებული ორი კომპონენტისგან შედგება. ესენია: სასწავლო (50 ECTS) და კვლევითი (130 ECTS) კომპონენტები. ამასთან, სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (40 ECTS, სულ 8 სასწავლო კურსი) და არჩევითი (10 ECTS, სულ 2 სასწავლო კურსი) კურსებისგან. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, ის მოიცავს დოქტორანტის კოლოკვიუმებს (სულ სამი კოლოკვიუმი), სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში კვლევის განხორციელებას, ნაშრომის დაწერას, დაცვასა და პუბლიკაციას სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული წესის მიხედვით.
  - წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის კომპონენტების (ცალკეული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის მდგენელები) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, უპირატესად, უზრუნველყოფს დასახული მიზნების, აღწერილი სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების მიღწევას, პროგრამის სრულყოფისთვის გარკვეული კომპონენტების დახვეწის მიზნით შემუშავდა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის გარე შეფასებისთვის განხორციელდა მიმდინარე წლის 10 იანვარს.
  - ვიზიტი წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფი განსაზღვრული თანმიმდევრობით შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დამსაქმებლებს, პროგრამის სტუდენტებს დახარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს. ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე, დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, ნახა ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და ელექტრონული ბაზა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

— წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა, დადგენილი წესის თანახმად, შესაბამისობაშია III, IV დაV სტანდარტთან, მეტ-წილ შესაბამისობაშია I სტანდარტთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

შემუშავდა რეკომენდაციების რამდენიმე ჯგუფი, რომელიც შეეხება:

— პროგრამის დასახელებასა და აღწერას;

— მიღების წინაპირობებს;

— სწავლა/სწავლებისა და შეფასების მეთოდებს;

— პროგრამის სასწავლო კომპონენტსა და ცალკეულ კურსებს;

— სასწავლო მასალასა და შეთავაზებულ ლიტერატურას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

— სასურველია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც გულისხმობს მონაწილეობას სამეცნიერო პროექტებსა და კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვა;

— პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით,სწავლება-სწავლის მეთოდების, სასწავლო პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასება, შემუშავებული კითხვარების გარდა, სასურველია, პროგრამაში ჩართული პერსონალის ფოკუს-ჯგუფების სახითაც ტარდებოდეს;

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

— საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს მოეთხოვება პროფესორის ასისტირება და საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება, რაც მიზნად ისახავს აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირებას რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან; სტუდენტის იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს მისი კარიერის შექმნას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წარმოდგენილმა პროგრამამ 2018 წელს გაიარა პირობითი აკრედიტაცია და მას შემდეგ ხორციელდება. შესაბამისად, პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული. დოკუმენტების

შესწავლამ და ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამის განმახორციელებლებს, გათვალისწინებული აქვთ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მიცემული გარკვეული რეკომენდაციები -- შეტანილია შესაბამისი ცვლილებები პროგრამაში. კერძოდ:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B/2 დონე
- განახლდა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურა სილაბუსებში
- ახალ სტანდარტებთან მეტად შესაბამისობაშია პროგრამის შედეგები

თუმცა, რეაკრედიტაციის ეტაპზე კვლავ აქტუალურია ზოგიერთი რეკომენდაცია, მათ შორის, პროგრამის სახელწოდების დაზუსტება და შესაბამისად, მიზნის ფორმულირება; სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამის დეკლარირებული მიზნები — სოციალურ ფსიქოლოგიაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური მკვლევრების მომზადება და სოციალური გადახრების [sic], დევიაციური ქცევისა და კროსკულტურული ფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევის ხელშეწყობა, საქართველოს მოსახლეობის მულტიკულტურულობისა და რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით — ფაქტობრივად, შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომელიც გულისხმობს საუნივერსიტეტო სასწავლოსამეცნიერო სივრცეში ეროვნული საგანმანათლებლო ტრადიციების უმნიშვნელოვანესი მონაპოვრების შენარჩუნებასა და მათი თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგიურ მიღწევებთან შერწყმის უზრუნველყოფას, ქართული და ევროპული მეცნიერული სკოლების მემკვიდრეობის გამოყენებასა და მათ ჩართვას ევროპული განზომილებების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების მიღების უზრუნველყოფაში. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასახვეწია პროგრამის მიზნების აღწერის ფორმულირება. აღნიშნული საკითხები, რეკომენდაციების სახით, წარმოდგენილი იყო წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლამ და აკრედიტაციის ვიზიტმა აჩვენა, რომ პროგრამის მიზნები დაწესებულების მისიის კონტექსტშია გააზრებული და ფორმულირებული, რაც უზრუნველყოფს კიდეც მათ ურთიერთშესაბამისობას. ასევე, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და, ფაქტობრივად, მიღწევადია წარმოდგენილი პროგრამის განხორციელების შედეგად. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სახელწოდება „ფსიქოლოგია“ ძალზე ზოგადია.მოგეხსენებათ, რომ ფსიქოლოგია საკმაოდ ფართო დარგია, რომელიც მოიცავს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა კლინიკური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, განათლებისა და განვითარების ფსიქოლოგია და სხვ. ფსიქოლოგიის წარმოდგენილი სადოქტორო

პროგრამის სახელწოდება ქმნის შთაბეჭდულებას, რომ ფსიქოლოგიის ყველა სფეროში შესაძლებელია ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხის მოპოვება. თუმცა, მოცემული პროგრამა კონკრეტულ მიზანს ისახავს და მოიცავს მხოლოდ დევიაციური ქცევისა და კროსკულტურული ფსიქოლოგიის მიმართულებით კვლევას. ასევე, დასახვეწია პროგრამის მიზნების აღწერის ფორმულირება. აღნიშნული საკითხები, რეკომენდაციების სახით, წარმოდგენილი იყო წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მისია; • თვითშეფასების ანგარიში; • ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: • ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მიზანშეწონიალია წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისთვის უფრო შესატყვისი სახელწოდების შერჩევა, რომელიც უკეთ აღწერს მის კვლევით და სასწავლო კომპონენტში გაკეთებულ შინაარსობრივ აქცენტებს, კერძოდ, - სოციალური ფსიქოლოგიის ისეთი საკითხებს, როგორიცაა დევიაციური ქცევა, კროსკულტურული ვარიაციები და სოციალურ ნორმებთან მიმართება. • პროგრამის მიზნების აღწერაში ვკითხულობთ: „პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს სპეციალისტი სოციალურ ფსიქოლოგიაში სოციალურ გადახრებისა და დევიაციურ ქცევებზე აქცენტით,....“. „სოციალური გადახრა“ და „დევიაციური ქცევა“ იდენტური ცნებებია (ამ მოსაზრებას იზიარებს უსდ, რაც დასტურდება წინა აკრედიტაციის ოქმით N36, 24.08.2018) და სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, დევიაციური ქცევა გვხვდება. ამდენად,რეკომენდებულია დაზუსტდეს მიზნის ფორმულირება და შესაბამისად, ამოღებულ იქნეს ტერმინი „სოციალური გადახრები“.აღნიშნული საკითხი, რეკომენდაციის სახით, წარმოდგენილი იყო წინა აკრედიტაციის დასკვნაშიც.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებიძირითადად აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის კომპონენტების (ცალკეული სასწავლო კურსები და კვლევითი კომპონენტის მდგენელები) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის ჩათვლით, მეტწილად უზრუნველყოფს აღწერილი სწავლის შედეგებისა მიღწევას; თუმცა, წარმოდგენილი პროგრამის სრულყოფისთვის ზოგიერთი კომპონენტი დასახვეწი და/ან დასამატებელია, ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მე-8 დონეს ნაკლებად შეესაბამება, განსაკუთრებით კი, საგანმანათლებლო კომპონენტის კვლევით ნაწილში.მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსის — სოციალური კვლევის მეთოდები — შინაარსი და სწავლის შედეგები არ შეესაბამება სწავლების მე-8 დონეს და ახლოს დგას სოციალურ მეცნიერებებში საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კვლევის მეთოდების კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. მიზანშეწონიალია, დოქტორანტურის სტუდენტებისთვის შესაბამისი კურსის/კურსების შეთავაზება, რომლის მიზანიც იქნება შერჩეული მეთოდების სიღრმისეულად სწავლება და კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება/ინტერპრეტაცია.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება სადისერტაციო ნაშრომებით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში, რომელშიც ჩანს, თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ, სტუდენტთა რა რაოდენობაზე შეფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი.

შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად - გამოიყენება სწავლის შედეგების

სამიზნე ნიშნულები, რომლის მიხედვითაც დგინდება სტუდენტთა მიღწევის შედეგები; ასევე, გამოიყენება კურიკულუმის რუკა, რომლის მიხედვითაც გადაიხედება ის სასწავლო კურსები, რომელებიც ავითარებენ აღნიშნულ სწავლის შედეგ(ებ)ს. შედეგად,ცვლილებები აისახება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშში. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულია პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური, მოწვეული პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • კურიკულუმის სწავლის შედეგების რუკა და სამიზნე ნიშნულები; • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: • მიზანშეწონილია, თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილი კონკრეტული სწავლის შედეგები შეესაბამებოდეს მოცემული სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგებს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრულ მე-8 დონესთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✘		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების, სწავლისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი განისაზღვრება საქართველოს ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და მისი რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტებით. შესაძლებელია საშუალოდ 5-6 დოქტორანტის მიღება. ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე უნივერსიტეტის დოქტორანტურისა და სადოქტორო საბჭოს დებულებით განსაზღვრული მიღების წინაპირობებია: ა) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი სოციალურ, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, ჯანდაცვის, სამართლის, განათლების, ხელოვნების, ბიზნესის და ადმინისტრირების და ინტერდისციპლინურ მეცნიერებებში; ბ) გამოცდა ინგლისურ ენაში-B2 დონე. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათლების დიპლომს, შესაბამისი უცხო ენის სპეციალობით, ან შესაბამისი პროფილის აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებული გამოცდის დამადასტურებელ მოწმობას (არანაკლებ B2 დონე) ან უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერთიფიკატს (TOEFL PBT, TOEFL IBT, IELTS ან Cambridge Exam);

ცალკეულ შემთხვევაში, კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს მოითხოვოს დამატებით რომელიმე უცხო ენის ცოდნა.

გ) გამოცდა სპეციალობაში-სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების პროგრამებს, ჩატარების ფორმასა და თარიღს, აგრეთვე, დოქტორანტობის კანდიდატისთვის დამატებით სხვა მოთხოვნებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის ფაკულტეტის წარდგინებით.

დ) გასაუბრება აპლიკანტთან, რომელიც გულისხმობს აპლიკანტის მოტივაციის, გამოცდილების, პროფესიული განვითარების პოტენციალის, ინტერესებისა და სხვა მახასიათებლების შეფასებას.

დოქტორანტობის კანდიდატის განაცხადს თან უნდა დაერთოს რეფერატი ან კვლევითი ხასიათის სტატია, რომელშიც აისახება მისი სამეცნიერო ინტერესები (5-7 გვ.);

მიუხედავად დეტალურად გაწერილი მიღების წესებისა, დასახვეწია პროგრამაზე მიღების წინაპირობა, რათა პროგრამამ უზრუნველყოს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვა და, თანაბარ პირობებში, შესაძლებელი იყოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

ვიზიტის მსვლელობისას აკადემიური პერსონალი აღნიშნავდა, რომ ფსიქოლოგიის განათლების არ მქონე სტუდენტებისათვის, მეტ გამოწვევას წარმოადგენს მოცემულ პროგრამაზე სწავლა თეორიული ცნებებისა და კონსტრუქტების გაგება/ათვისების თვალსაზრისით (პროგრამა 2018 წლიდან ფუნქციონირებს და შესაბამისად, ჯერ კურსდამთვრებული არ ყავს. პროგრამაზე ირიცხება ხუთი სტუდენტი, რომელთაგან არცერთი არ არის ფსიქოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებული. აქტიური სტატუსის მქონეა მხოლოდ ორი) და შესაბამისად, დამატებით უხდებათ ბაზისურ-თეორიული საკითხებისთვის დროის დათმობა,რათა პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების დაძლევა გახდეს შესაძლებელი. ამასთან, მათი მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიის საფუძლების შესაბამისი სასწავლო კურსების დამატება, რადგან პროგრამის სრულფასოვნად დაძლევა იყოს შესაძლებელი; ამიტომაც, ლექტორები იძულებულნი არიან ისარგებლონ საბაზისო საფეხურის შესაბამისი ლიტერატურით, რაც ასახულია კიდეც მათ სასწავლო კურსებში. ამავე დროს, სტუდენტები ვიზიტის დროს აღნიშნავდნენ, რომ მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების ათვისება. რაც ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ისინი საბაზისო კურსებს გადიან სწავლების მერვე დონეზე.

გარდა იმისა, რომ არაფსიქოლოგიური განათლების დოქტორანტებისთვის რთულია ამ პროგრამაზე სწავლა, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოლოგიის პროფესია დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული; განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის კლინიკური ფსიქოლოგია, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია, ფსიქოთერაპია და მათ შორის, დევიაციური ქცევა.პროფესიული პასუხისმგებლობა კი განსაკუთრებით იზრდება,როდესაც საქმე ეხება გადაწყვეტილების მიღებას, ფსიქიკას და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა შეუძლებელია ზოგადი ფსიქოლოგიური განათლების წინაპირობის გარეშე. შესაბამისად,

მიზანშეწონილად მიგვაჩნია,წარმოდგენილი პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ფსიქოლოგიის მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება; • ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება; • უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრება
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოდიფიცირდეს და განისაზღვროს ფსიქოლოგიის მაგისტრის ან ბაკალავრის ხარისხით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია

პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნისა და ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მერვე დონით დოქტორანტურით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია სასწავლო კურსების შინაარსით, მოცულობითა და სწავლების მეთოდებით. წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს 180 კრედიტს, რომელთაგან 50 გათვლილია სასწავლო ნაწილზე, ხოლო 130 კრედიტი - სამეცნიეროზე. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყოველი სასწავლო კურსის 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს; პროგრამის სასწავლო კომპონენტი (50 კრედიტი) მოიცავს: ა) პროგრამის სასწავლო (დარგობრივი) სავალდებულო (40 კრედიტი) კურსებს და ბ) არჩევით კურსებს (10კრედიტი). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონის მიხედვით უმაღლესი განათლების შესახებ, (46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, გ-ქვეპუნქტი), დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. გამომდინარე აქედან, რეკომენდებულია წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტისთვის მინიჭებული 130 კრედიტი. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა განისაზღვრებასასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების ბალანსით. პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან: პირველ ეტაპზე პროგრამა დატვირთულია სასწავლო კომპონენტით. სასწავლო კრედიტები სრულდება 3 სემესტრში. შემდგომი სემესტრების განმავლობაში თანდათან მატულობს სამეცნიერო ნაწილი. დარჩენილი 3 სემესტრი სრულიად ეთმობა სამეცნიერო მუშაობას, რომელიც ასევე ითვალისწინებს კვლევის თანმიმდევრული წარმოების შესაძლებლობას და კომპონენტებს შორის ლოგიკურ კავშირზეა აგებული. კვლევის სფეროსთან დაკავშირებული სასწავლო კომპონენტი მოიცავს ძირითად სემინარებს და სასწავლო კურსებს, რომლებიც ემსახურება ერთი მხრივ, საკვლევ სფეროში ჩაღრმავებას, არსებული კვლევების საფუძვლიანი შესწავლის გზით, მეორე მხრივ, კვლევის და სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებას, სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დაგროვებას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს შედეგების მიხედვით, გაირკვა, რომ დოქტორანტს შეუძლია სასწავლო კურსების პარალელურად, თავისი ინტერესის შესაბამისად, ინდივიდულური გეგმის შედგენა. დოქტორანტი ვალდებულია სამეცნიერო ხელმძღვანელთან სისტემატურად იმუშაოს, ხოლო ყოველი სემესტრის ბოლოს მოკლე **სამეცნიერო ანგარიში** წერილობითი ფორმით ჩააბაროს დეკანატს, ხოლო წელიწადში ერთხელ მიმართულების სხომაზე წარდგეს (კოლოქვიუმები). ყველა

სემესტრის ანგარიში, დოქტორანტისა და ხელმძღვანელის ხელმოწერილი, ინახება მის პირად საქმეში.

დისერტაციის თემის და სათაურის დასამტკიცებლად წარდგენა ხდება მე-2 სემესტრის ბოლოს, მას შემდეგ რაც დოქტორანტის დისერტაციის პროექტი წარდგება მიმართულების სხდომაზე და მიმართულების გადაწყვეტილებით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა, ძირითადად, უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში არ არის წარმოდგენილი ისეთი კურსი, რომელიც აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს კვლევის წარმოების კომპეტენციის განვითარებისთვის სწავლების მერვე დონეზე (იხ. ქვემოთ რეკომენდაციები).

ამასთან, ვინაიდან სადოქტორო საფეხურზეა საუბარი, სადაც სამეცნიერო კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და კვლევის მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ინტერპრეტაცია წარმოუდგენელია სტატისტიკური მეთოდების ცოდნის გარეშე, დგება წარმოდგენილ პროგრამაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებული კურსის საჭიროება, თუმცა, ვიზიტის დროს გაირკვა რომ თავად უსდ უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომში კვლევითი მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელთანდა პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრება
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა . ცხრილი 1
- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ რექტორის სამართლებრივ აქტი N050-01

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სავალდებულო კურსების ჩამონათვალში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გაძლიერებული კურსის დამატება, ვინაიდან სწავლების სადოქტორო საფეხურზეა საუბარი;
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით (46-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, გ-ქვეპუნქტი), რეკომენდებულია წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამის სტრუქტურიდან ამოღებულ იქნას სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტისთვის მინიჭებული 130 კრედიტი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსი ნაწილობრივ უზრუნველყოფს და განაპირობებს დოქტორანტის ცოდნის დონის ამაღლებას, მისი შემოქმედებითად აზროვნების უნარის განვითარებას და პრაქტიკული სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობისათვის უნარ-ჩვევების გამომუშავებას და რეალიზაციას, და საბოლოოდ, ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსებში თეორიული საკითხების გარდა გათვალისწინებულია პრაქტიკული სემინარების მომზადება, რომელიც დოქტორანტს შესაძლებლობას აძლევს გაუფართოოს თვალსაწიერი დარგში და აუმაღლოს ცოდნის დონე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სასწავლო კურსს იდენტური სასემინარო მუშაობის ფორმატი აქვს. წარმოდგენილ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ძირითად დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა რიგ სილაბუსებში წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურა სწავლების

პირველ საფეხურს შეესაბამება; მაგალითად, სოციალური კვლევის მეთოდებში გამოყენებულია ზიმბარდოს „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, დევიაციური ქცევის ფსიქოლოგიაში გამოყენებულია ციცქიშვილის „სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები“ და ბალიაშვილის “სოციალური ფსიქოლოგიის საფუძლები“ და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება; • თვითშეფასების ანგარიში; • ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სამიზნე ნიშნულები . ცხრილი 1
რეკომენდაციები: • მიზანშეწონიალია, ყველა სასწავლო კურსს ჰქონდეს სპეციფიკური სასემინარო ფორმატი; • სილაბუსებში ასახული ლიტერატურა შეესაბამებოდეს სწავლების სადოქტორო საფეხურს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი განკუთვნილია პრაქტიკული კვლევების განხორციელებისთვის და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სადოქტორო ნაშრომის მომზადებასა და დაცვისთვის. კვლევითი კომპონენტი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ლიტერატურის მოძიებას და გაცნობას, დოქტორანტის სამ კოლოკვიუმს, რომელიც კვლევის შედეგებზე დაყრდნობით წარმოადგენს სადოქტორო ნაშრომის შემადგენელ ნაწილს, ხოლო ბოლო სემესტრში ხდება შესრულებული სამუშაოს გაფორმება სადოქტორო ნაშრომის სახით და მისი საჯარო დაცვა წინასწარდადგენილი წესის მიხედვით. იგი დოქტორანტს აძლევს არჩეულ სპეციალობაში კვლევითი მუშაობის წარმართვის, მეცნიერული ინფორმაციის შეგროვება-შესწავლის, ნაშრომის მომზადებისა და საჯარო დაცვის უნარ-ჩვევებს.

გარდა ამისა, სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან პილოტურ კვლევებში, რომელსაც სხვადასხვა სკოლაში ახორციელებენ; მაგრამ ამავე დროს, უსდ-ს არ აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები მოცემულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

თუმცა, სავალდებულო სასწავლო კომპონენტი აძლევთ მათ საშუალებას დახვეწონ პრაქტიკული უნარები პროფესორის ასისტირების მიმართულებით და ამავე დროს, ერთი სემესტრის განმავლობაში მოამზადონ საჩვენებელი ლექცია. უნივერსიტეტი მხარდაჭერას უცხადებს სტუდენტებს სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელთან და პროგრამის განმახორციელებლებთან გასაუბრება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ფსიქოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სამიზნე ნიშნულები . ცხრილი 1

რეკომენდაციები:

–

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უმჯობესი იქნებოდა თანამშომლობის მემორანდუმების გაფორმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- წარმოდგენილი პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტები - პროფესორის ასისტირება და საჩვენებელი ლექციის მომზადება - სტუდენტებს საშუალებას აძლევს დახვეწონ პრაქტიკული უნარები.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამის სასწავლო მეთოდოლოგია გულისხმობს სწავლების სხვადასხვა მეთოდთა გამოყენებას. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ გამოყენებულია სწავლება-სწავლის მეთოდების ფართო სპექტრი (დისკუსია, ინტერაქციული ლექცია, ჯგუფური მუშაობა, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, ახსნა-განმარტებითი და სხვ.), რაც ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას. დოკუმენტში ხაზგასმულია თითოეული მეთოდის უპირატესობა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგალითად - დედუქციური მეთოდი განსაკუთრებით მისაღებია სასემინარო მუშაობისას, როდესაც უკვე მის განკარგულებაში არსებულ ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით დოქტორანტი ახალ, გაღრმავებულ ცოდნას იძენს კონკრეტული მიმართულებით. ანალიზის მეთოდი გამოიყენება კონკრეტული დავალებების შესრულებისას, ხოლო ახსნა-განმარტებითი მეთოდის გამოყენება გულისხმობს საკითხის ირგვლივ სემინარებზე მსჯელობას, მოცემული თემის ფარგლებში კონკრეტული მაგალითის დაწვრილებით განხილვას. თუმცა, საწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილი სწავლება-სწავლის მეთოდები ხშირ შემთხვევაში იდენტურია; მაგალითად სოციალურ კვლევის მეთოდებში და კროს-კულტურულ ფსიქოლოგიაში, რომელიც სრულიად განსხვავებული შინაარსის სასწავლო კურსებია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო კურსების სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში;

- პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება.

რეკომენდაციები:

- საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე დაკონკრეტდეს სწავლება-სწავლის ფორმები და მეთოდები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები და შესაბამისი კატეგორიები, რომლებსაც დოქტორანტი სილაბუსების მეშვეობით ეცნობა. პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და შესაძლო გაუმჯობესების გზების შესახებ. სასწავლო კურსების ფარგლებში დოქტორანტების შეფასება ხდება ორ ეტაპად: 1) შუალედური შეფასება; 2) დასკვნითი შეფასება.

სტუდენტის მიერ სადოქტორო პროგრამა ითვლება დასრულებულად, თუ მან მოაგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და უნივერსიტეტში დადგენილი

წესით, წარმატებით დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი.

სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შემდეგი პრინციპით:

- სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით.

დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების სისტემა შესაბამისობაშია მინისტრის N3 ბრძანებასთან (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ - 2007 წლის 5 იანვარი).

სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები დაწვრილებით გაწერილია კურსების სილაბუსებში,ხოლო სამეცნიერო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები გაწერილია სილაბუსებში და დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.

დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია **ასისტენტობა** გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.

პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფის,ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკუმების ჩატარება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადება; სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, საბაკალავრო, სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა; ტუტორობა, ასისტირება სამეცნიერო მუშაობაში და სხვა.

დოქტორანტის მიერ პროფესორის ასისტენტობის შეფასება ხდება შესრულებული სამუშაოს შესახებ მომზადებული ანგარიშის საფუძველზე.

დოქტორანტის სასწავლო საქმიანობაში ჩართვისას კრედიტების მინიჭება ხდება სტუდენტებთან საკონტაქტო საათების დაანგარიშების საფუძველზე.

ასისტენტობის დროს (5კრედიტი) დოქტორანტი კვლევით და/ან პედაგოგიურ ასისტირებას უწევს საკუთარ სამეცნიერო ხელმძღვანელს და/ან ჩართულია უნივერსიტეტის სასწავლო და/ან კვლევითსაქმიანობაში.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში **საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება (5კრედიტი)** ემსახურება სწავლა-სწავლების და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას, რომლის მიზანია აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირება რეალურ პრაქტიკასთან; ჩართვა იმ პროცესებში, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს დოქტორანტის კარიერის შექმნას.

უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-ს სტუდენტთა საერთო რაოდენობა მცირეა და როგორც ადმინისტრაციას ისე, აკადემიურ პერსონალს უშუალო კავშირი აქვს სტუდენტებთან; სტუდენტებისთვისაც ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის გარეშე. თუმცა, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული სისტემა არსებობდეს უნივერსიტეტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- საჩვენებელი ლექციის მომზადება-ჩატარება და პროფესორის ასისტირება, რაც მიზნად ისახავს აკადემიური განათლებისა და თეორიის დაკავშირებას რეალურ სამყაროსთან/პრაქტიკასთან; სტუდენტის იმ პროცესებში ჩართვა, რომლებიც პრაქტიკული უნარების განვითარების გზით ხელს უწყობს მისი კარიერის შექმნას მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✘	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტები მაქსიმალურად იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, შესაძლო დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციებს, როგორც აკადემიური პერსონალისგან, ასევე უსდ-ის ადმინისტრაციისაგან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი დოქტორანტებს და დაინტერესებულ პირებს, პერმანენტულად აწვდის საჭირო ინფორმაციას. მოქმედებს სააპელაციო სისტემა, რომელიც გამჭვირვალეს ხდის შეფასების პროცესს და დოქტორანტს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს მის ობიექტურობაში. ასევე, დეკანატის მიერ თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ამ მიმართულებით, დოქტორანტთა კონსულტირებისათვის კონკრეტული დღეების გრაფიკი. ფაკულტეტის ადმინისტრაცია მსჯელობს და დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს აწვდის ინფორმაციას შეფასებების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში არსებობს მხარდაჭერის სერვისები დოქტორანტებისათვის, როგორიცაა ადმინისტრაციული რეგისტრაცია, სტიპენდიები, სოციალური რჩევების და დახმარების გაწევა (მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე, უნარშეზღუდულ პირებზე შეღავათები) და დასვენების სერვისები (სპორტი, ხელოვნება და ა.შ.). დოქტორანტებისათვის შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკების შედგენა, აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციების გავლა ინტენსიურ რეჟიმში. სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს უზრუნველყოფს კონსულტაციებითა და ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმარებაში; კერძოდ, დოქტორანტი ავსებს ინდივიდუალური მუშაობის გეგმას,

რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: • განმარტებები სადისერტაციო თემის შერჩევის შესახებ, • სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, • სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი, • პირველი წლის სამუშაო გეგმა • მეორე წლის სამუშაო გეგმა • მესამე წლის სამუშაო გეგმა • დოქტორანტის სწავლების შედეგები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • ვებ.გვერდი:www.tamariuni.edu.ge; • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. დისერტაციის თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს სხვა წევრი ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის სადისერტაციო საბჭოს წევრი; ასევე, შეიძლება მოწვეულ იქნეს სპეციალისტი კვალიფიკაციის შესაბამისად. სამეცნიერო თანახელმძღვანელ(ებ)ის დანიშვნის აუცილებლობის შემთხვევაში სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს წერილობით ინფორმაციას სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე იმის შესახებ, რომ დოქტორანტის თანახელმძღვანელობის კანდიდატ(ებ)ი აკმაყოფილებს სამეცნიერო ხელმძღვანელისადმი წაყენებულ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მისი კვალიფიკაცია შეესაბამება საკვლევი თემის პრობლემატიკას;

ბ) მოცემულ მომენტში მას ჰყავს არაუმეტეს 4 (აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე) დოქტორანტისა;

გ) თანახმაა გაწიოს სამეცნიერო ხელმძღვანელობა;

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს შეუძლია აირჩიოს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა შეუძლია დოქტორანტსაც პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები. ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელს ერთდროულად შეუძლია უხელმძღვანელოს არაუმეტეს 5 (აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე) დოქტორანტს. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას (სადისერტაციო ნაშრომის პროექტის შესაბამისად). უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესით, უზრუნველყოფს დოქტორანტებისგან უკუკავშირის მიღებას იმის თაობაზე, თუ რამდენად კმაყოფილი არიან ისინი სამეცნიერო ხელმძღვანელთან მუშაობით. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას სადისერტაციო საბჭოში მისი მიწვევის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (დანართი №5);
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს

შედეგები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✘			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაუზრუნველყოფილია შესაბამისი კვლიფიკაციისაკადემიური და მოწვეული პერსონალით, რომლებიც პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობენ. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი: სამიპროფესორი, ერთი ასოცირებული პროფესორი და ორი მოწვეული პედაგოგი.

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია, სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილება შეესაბამება ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებელ კვალიფიკაციას. თითოეულ მათგანს აქვს სათანადო აკადემიური ხარისხი, პროფესიული გამოცდილება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი პროფესიული ბიოგრაფიებითა და პუბლიკაციების ჩამონათვალით.

სადოქტორო პროგრამის ფუნქციონირებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი ადმინისტრაციული პოტენციალი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ მმართველობით ორგანოებსა და სამსახურებს. ფუნქციონირებს ფაკულტეტების საბჭოები. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამსახურს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ზრუნავს წარმოდგენილი პროგრამის ხარისხის გამოუმჯობესებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები არაერთ უცხოურ უნივერსიტეტთან (მათ შორის, პოლონეთის, სერბეთის, ბულგარეთის), წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის შედეგად გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები სათანადოდ არ არიან ჩართულნი სამეცნიერო პროექტებსა და კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში და სხვ. შესაბამისად, უსდ-ში ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მეტი აქტივობაა განსახორციელებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (დანართი №5);
- აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია (დანართი №3);
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია (დანართი №12);
- ადმინისტრაციასთნ, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია პროგრამის მაღალი სტანდარტით განხორციელებაზე, რაც პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებასაც გულისხმობს. სამსახური რეგულარულად ახდენს აღნიშნული პერსონალის შეფასებასა და იმ შედეგების ანალიზს, რომელსაც სწავლების ხარისხის მაჩვენებლების მონიტორინგის შედეგად მოიპოვებს.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის როგორც პროფესიულ, ისე პიროვნულ განვითარებას. ამ მიზნით, უსდ-ში პერიოდულად ტარდება თანამშრომელთა სხვადასხვა ტიპის კვლევა მათთვის შესაბამისი საჭიროებების დადგენისა და განვითარებისათვის. ასევე, უნივერსიტეტი ზრუნავსმათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებაზე. ამასთან,უსდ-ში ტარდება სხვადასხვა სემინარი, ტრენინგი, კონფერენცია და სოციალურ-კულტურული ღონისძიებები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა თუ მოიცავს სამუშაო საათებს, დასაქმებულს ეთვლება სამუშაო პერიოდში და აუნაზღაურდება სრულად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი;
- აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის
- განვითარების მექანიზმი (რექტორის ბრძანება №033/01 2017 წლის 12
- ოქტომბერი);
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე
- მექანიზმები (რექტორის ბრძანება №052/01 2018 წლის 5 დეკემბერი);
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების კითხვარები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქოლოგიის სადოქტორო პროგრამა ხორციელდება საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და მის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს უსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კერძოდ:

ა) უნივერსიტეტის სამეცნიერო–ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი; უნივერსიტეტს გააჩნია ორი ბიბლიოთეკა, მათ შორის - ერთი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია შესაბამისი ლიტერატურა და რომელიც აღჭურვილია ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით, რაც იძლევა საჭირო მასალის ინტერნეტში მოძიების საშუალებას.

ბ)თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით (ANSYS, MathCAD, MathLAB, ArchiCAD და სხვა);

გ)მულტიმედიური სწავლების თანამედროვე მეთოდების შესაბამისი ტექნიკით გაწყობილი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების აუდიტორიები;

უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ საინფორმაციო ქსელის კონსორციუმ 2017-თან, რაც ითვალისწინებს სტუდენტებისა და თანამშრომლების ტრენინგს თემაზე: პლაგიატის არსი და მისი თავიდან აცილების გზები, სისტემა URKUND-ის გამოყენება და მისგან მიღებული ანგარიშების ანალიზი;

უნივერსიტეტი მონაწილეობს პროექტში ,,ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის“, როგორც კონსორციუმის წევრი და, შესაბამისად, აქვს ელექტრონული სამეცნიერო ბაზების გამოყენების უფლება. სტუდენტებს წვდომა აქვთ სხვადასხვა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. ბიბლიოთეკა სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა სამეცნიერო სივრცის წვდომას;

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი მხარდაჭერას უცხადებს დოქტორანტებს და აკადემიურ

პერსონალს სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციების გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში და საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. როგორც ზემოთ აღინიშნა, უსდ-ს სტუდენტთა საერთო რაოდენობა მცირეა და როგორც ადმინისტრაციას ისე, აკადემიურ პერსონალს უშუალო კავშირი აქვს სტუდენტებთან; სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ ყველა ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის გარეშეც. თუმცა, როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის მიზანშეწონილია აღნიშნული სისტემა არსებობდეს უნივერსიტეტში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სასწავლოდალაბორატორიულიფართებისფაქტიურიმდგომარეობა; • უნივერსიტეტის ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება - შემოწმება • ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასება; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. • სასწავლო ლაბორატორიებში არსებულ ტექნოლოგიურ მოწყობილობებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები. • საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი; • არსებული კომპიუტერული კლასები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით; • ხელშეკრულება #2018/53 სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე; • ხელშეკრულება - ანტიპლაგიატის სისტემა URKUND-ის გამოყენების და მისგან მიღებული ანგარიშების ანალიზის შესახებ.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია შეიქმნას სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა უნივერსიტეტში.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს გააჩნია დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას. ასევე, დამტკიცებულია სადოქტორო პროგრამაზე სწავლის ხარჯთაღრიცხვის ფორმა. უსდ-ს საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა (სულ 50,792 ლარი სამი წლის განმავლობაში) განსაზღვრულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებისთვის (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები) და ითვალისწინებს, ასევე, დოქტორანტის სამეცნიერო მივლინების ხარჯებს, სამეცნიერო შრომების გამოცემის, ნაშრომის საერთაშორისო რეცენზირების, დოქტორანტის დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებული სხვადასხვა საორგანიზაციო ხარჯების დაფარვას. უსდ-ს დამტკიცებული საერთო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის შესატვისობა სადოქტორო პროგრამაზე სწავლის წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვასთან, ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის სტაბილურობის ადასტურებს,.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი • პროგრამაზე სწავლის ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული რექტორის ბრძანებით; • თვითშეფასების ანგარიში. • ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○ სტუდენტების მიერ დაფინანსების წყაროების მოძიების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაციასა და პრეზენტაციასთან (სამეცნიერო

კონფერენციები) დაკავშირებული ხარჯების დაფარვას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✘			

5. სწავლებისხარისხისგანვითარებისშესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ის რეგულაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, "შიდა შეფასების მექანიზმს ითვალისწინებს თავად სადოქტორო პროგრამა დოქტორანტის ინდივიდუალური მუშაობის გეგმის სახით, რომლის საშუალებითაც ხდება სწავლის შედეგების პერიოდული შეფასება. შიდაშეფასებისათვის გამოიყენება როგორც მასწავლებლების, ისე სტუდენტებისგამოკითხვა."

გამოკითხვა წარმოებს წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული კითხვარების სახით, რომლითაც ფასდება საგანმანათლებლო პროცესი და სასწავლო გარემო. გამოკითხვის შედეგების ანალიზი საფუძვლად ედება პროგრამის მოდიფიცირებას და/ან ადაპტაციას - საჭიროების შემთხვევაში. მოცემული პროგრამის სიახლის გამო (სულ სამი სემესტრი) პროგრამის მოდიფიცირების და/ან ადაპტირების საკითხი არ დამდგარა, გარდა იმ რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინებისა, რომლებიც წინა აკრედიტაციისას (24 აგვისტო 2018) გაიცა.

შიდა შეფასება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი პოლიტიკის ნაწილია, რომელიც, სხვა სახის (გარე პარტნიორები) შეფასებასთან ერთად, განაპირობებს განათლების ხარისხის უზრუნველყოფას შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით: პროცესის თანამიმდევრულობა, უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის შექმნა და უნივერსიტეტის ანგარიშვალდებულების ზრდის ხელშეწყობა, ისეთი პირობების შექმნა, როცა ყველა შიდა დაინტერესებული მხარე პასუხისმგებელია ხარისხზე და უნივერსიტეტის ყველა დონეზე ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი;
- აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხისგანვითარების მექანიზმი (რექტორის ბრძანება №033/01 2017 წლის 12 ოქტომბერი)
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები (რექტორის ბრძანება №052/01 2018 წლის 5 დეკემბერი)
- ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების კითხვარები
- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის გასაუმჯობესებლად, შემუშავებული კითხვარების გარდა, სასურველია, პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოკითხვა ფოკუს-ჯგუფების სახითაც ტარდებოდეს

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

○ -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ -
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის რეგულაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, „გარე შეფასების ფორმას წარმოადგენს დოქტორანტის მიერ შესრულებული სადოქტორო ნაშრომის და სამეცნიერო სტატიების რეცენზიები, ორგანიზაციების და კომპეტენტური მეცნიერების გამოხმაურებები სადოქტორო პროგრამაზე, შესრულებულ დისერტაციებზე და ა.შ.“. პროგრამის რეაკრედიტაციამდე შეფასების აღნიშნული ფორმა არ იყო გამოყენებული, ვინაიდან პროგრამას კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყოლია. თუმცა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მტკიცებით, სხვა პროგრამებზე, მაგალითად - ხელოვნებამცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე, გარე შეფასება სისტემატურად ხორციელდება საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლების მიერ. რაც შეეხება წინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, მათი ნაწილი უსდ-ს მიერ გათვალისწინებულია: კერძოდ: — პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B/2 დონე; — ძირითადად განახლდა და გამრავალფეროვნდა ლიტერატურა სილაბუსებში; — ახალ სტანდარტებთან მეტად შესაბამისობაშია პროგრამის შედეგები; — შემცირდა სასწავლო კომპონენტის მოცულობა კვლევითი კომპონენტის სასარგებლოდ;

—გადაიდგა ნაბიჯები დაგეგმილი კვლევების შედეგების ინტერნაციონალიზაციისკენ (საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, რომლის ფინანსურ მხარდაჭერასაც უსდ უზრუნველყოფს)

თუმცა, რეაკრედიტაციის ეტაპზე კვლავ აქტუალურია ზოგიერთი რეკომენდაცია, მათ შორის, პროგრამის სახელწოდების დაზუსტება დაშესაბამისად, მიზნის ფორმულირება; სწავლება-სწავლის და შეფასების მეთოდების შესაბამისობაში მოყვანა პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ,,საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დამტკიცების შესახებ '' (რექტორის ბრძანება №052/01 2018 წლის 5 დეკემბერი);
- „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის განვითარების მექანიზმის შესახებ“ (რექტორის ბრძანება №033/01 2017 წლის 12 ოქტომბერი).
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, თვითშეფასების ჯგუფთან და პროგრამის ხელმძღვანელთან

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- გარე შეფასების მიზნით, გაიზარდოს თანამშრომლობითი კავშირები ფსიქოლოგიის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):

- -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- -

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და უნივერსიტეტის რეგულაციების მიხედვით, უნივერსიტეტი ახორციელებს პროგრამის მონიტორინგს - პროგრამის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფისა და სტუდენტებისთვის მხარდამჭერი და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით. პროგრამის მონიტორინგი და შეფასება ხდება პერიოდულად სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის - დამსაქმებლების ჩართულობით. გამოიყენება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, მიღებული ინფორმაციის ანალიზი საფუძვლად ედება პროგრამის მოდიფიცირება/ადაპტირება საჭიროების შემთხვევაში. მოცემული პროგრამის სიახლის გამო (სულ სამი სემესტრი) პროგრამის მოდიფიცირების და/ან ადაპტირების საკითხი არ დამდგარა, გარდა იმ რეკომენდაციების ნაწილის გათვალისწინებისა, რომლებიც წინა აკრედიტაციისას (24 აგვისტო 2018) გაიცა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის და ანალიზის სპეციალური კითხვარები;
- "საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების დამტკიცების შესახებ", ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება N052/01 2018. 05.12.;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსთან გასაუბრება;
- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია გამოკითხვები ფოკუს-ჯგუფის სახითაც ტარდებოდეს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✘			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქოლოგია

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		×		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			×	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	×			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	×			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	×			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ბურდული

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა მანანა გაბაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ირაკლი ნოდია